


სარგბიელი

საერთო გაზეთი


პარასკევი 19 დეკემბერი 2003 №242 (2013)

ფასი 50 თეთრი

**გედის გრგვალის
გურთივით გრგვალსა
სამთვეისჯილ
ჟორღანას
საქმეუი 4
ვილიონის
ამოტივტივდა**




მომავალი წელიდან სარგბიელი ორგანიზაციას გამოევა



სალომეო ხაჩიშვილი



სალომეო ხაჩიშვილი



თბილისის საოლქო სასამართლომ გუშინ არ დააკმაყოფილა ადვოკატ ზურაბ როსტიაშვილის სარჩელი მერაბ ჟორდანიას...

საოლქო სასამართლომ ჟორდანიას საქმის მოსმენა ოთხმათის დღეში დაიწყო, ოთხ საათს გააგრძელა და მეორე დღისთვის გადადო...

პროკურორის საპასუხოდ როსტიაშვილმა სასამართლოს ასეთი წინადადება მისცა: სრულად ვიხდით რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილ 247 ათას ლარს...

„საოლქო სასამართლოს მიზანია, რომ რაიონული სასამართლოს მიერ სწორად იქნა შეფასებული საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უკავშირდება ბრალდებულს...“

თავად მერაბ ჟორდანიას არც გუშინდელ პროცესს ესწრებოდა, არც იმდენი გულშემატკივარი იყო საოლქო სასამართლოს ეზოში, რამდენიც გუშინცნა.

უიმედოდ დარჩენილა მერაბ ჟორდანიას მხარე შინაგან საქმეთა მინისტრის გუშინდელი სატელევიზიო სიტყვის შემდეგ...

სხვათა შორის, გუშინდელი გადაწყვეტილების გამოცხადებისას მოსამართლე ჯორბენაძემ ერთ კონტექსტში ასხენა „დინამო“, პროკურატურა, შვეიცარიული ბანკები...

„უფრო გასაგები რომ იყოს, ასე ვთქვათ. სასამართლომ მერაბ ჟორდანიას იმ თანხის პირდაპირ ბიუჯეტში ჩარიცხვა მოსთხოვა, რასაც მას ეღებოდა...“

ჟორდანიას არ გამოუშვეს სამაგიეროდ, 4 მილიონი გამოუშვეს



სალომეო ხაჩიშვილი

იმედგაცრუებული ვარი

— ამ სიტყვებით და ბოდიშით დაიწყო გუშინდელ სადამოს პრესკონფერენცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარია...

„ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვამბობთ — ვემორჩილებით კანონს. თუ სასამართლო თვლის, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ალბათ იცოდა, რასაც აკეთებდა...“

ერთოდ, ჩვენი აზრით, ჟორდანიას სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია, ეს დავა უფრო სამოქალაქო საქმეა...

...მერაბ ჟორდანიას თხოვნაა, გინდ მოთხოვნად ჩათვალით ფედერაციის თანამშრომლებისადმი — ყველაფერი, რაც დაგეგმილია, ყველაფერი, რასაც ვაკეთებდით...

...„უდანაშაულობის პრეზუმპცია არსებობს, აქედან გამომდინარე კი მერაბ ჟორდანიას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია...“

—გამორიცხულია, რომ მერაბ ჟორდანიას საქმეში ფიფა ან უეფა ჩაერიოს, თუმცა ფიფაში ჩვენს კუორტორებთან მუდმივი კავშირი გვაქვს...“

...ფედერაციის პრეზიდენტი, ფაქტობრივად, ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, თუმცა ფიფასთან და უეფასთან დაწყებული პროექტებზე მუშაობა გაგრძელდება...“

...რაიონულმა სასამართლომ ვერ 250 ათასი მოითხოვა, მერე 450 ათასი, ვეცხოვით, ამ თანხის გადახდის შემთხვევაში მერაბ ჟორდანიას მეტს არ მოსთხოვდნენ...“

...თუ მერაბ ჟორდანიას ხვალ იტყვის, რომ ბიუჯეტში ფულის შეტანის ვიწყო, ადვოკატი სასამართლოს წინაშე საკითხს დააყენებს, რომ საქმეში დამატებითი გარემოებები გაჩნდა...“


...ნაკრების მწვრთნელობის ყველა კანდიდატთან მოლაპარაკებას პირადად მერაბ ჟორდანიას აწარმოებდა. სერიოზული მწვრთნელის მოწვევას სერიოზული თანხა სჭირდება...“

...არა გამოვიცხავ, რომ გარკვეული ძალეები დაინტერესებულნი არიან მერაბ ჟორდანიას პატიმრობით, თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რომ ეს დაზუსტებული ინფორმაციაა...“

Table with sports results: თურქეთი, იტალია, უოტლანდია, კიბონიანი 2:1 სელტაი, მსპანეთი, კოზა ინასარიძე, იტალია, იშვეტსუი 2:1 სიონა (2:1), უდიხეზა 3:0 პოლონია (1:0), მილანი 1:0 სამადოცია (1:0), გერმანია, კოზა ინასარიძე, რეალუ, რეპინსპუბი 0:0 კოზაუსი.

აბრამიძე სკალას გაინს ელის ძოძუაშვილს ზი თვალდახუჭულიც გაჰყვება

მოსკოვის „სპარტაკიდან“ აბრამიძე ქართველი მკვეთრი ვალერი აბრამიძე რამდენიმე დღეა, თბილისშია. ის ახალი კლუბის მოლოდინშია, თუმცა „სპარტაკი“ დაბრუნების იმედით არ გადაუნრავს, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოველთა ახალმა თავაყაყმა ნევიო სკალამ ჩვენებური სანვრითელ შეკრებაზე წამსვლელთა სიაში არ შეიყვანა. ვალერი აბრამიძე გუშინ რედაქციაში ვინვით...



ვალერი აბრამიძე ფოტო

— ელისტის „ურალანში“ განათხოვრების ვადა როგორც კი დაგიბთავრდა, მოსკოვში დაბრუნდი და „სპარტაკში“ ივარჯიშე. სკალასთან ხომ არ ვისაუბრია?

— არა, სკალა ფეხბურთელებს არც გვინახავს. „სპარტაკში“ რამდენჯერმე ვივარჯიშე და თბილისში ჩამოვედი. ახლა შევბუღებამი ვარ.

— ესე იგი, „სპარტაკში“ დარჩენა გამოირიცხულია?

— ზუსტად არ ვიცი. მხოლოდ ის მითხრეს, გუნდს მოგიბენითო. მეც ველოდები.

— თავიდან იქცა, თითქოს ნევიო სკალა სხვა კლუბებში განათხოვრებულ ფეხბურთელებს შანსს აძლევდა, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ გუნდს უცხოურ შეკრებაზე არ მიჰყვები...

— თუ იმის საშუალება მომეცემა, რომ „სპარტაკის“ მწვრთნელებს ჩემი შესაძლებლობები დავუმტკიცო, მზად ვარ. იმ სიაზე კი მეც გავიგე, მაგრამ სკალამ ისიც თქვა, შესაძლოა, ცვლილებები იყოს. ასე რომ, გამოირიცხული არაა, გუნდში კიდევ ბევრი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდეს.

— სეზონი „სპარტაკში“ დაიწყო და „ურალანში“ ჩამთავრე. კმაყოფილი ხარ?

— ვერ ვიტყვი, რომ წარმატებული სეზონი მქონდა, მაგრამ ნორმალური კი ეთქმის. წინა ჩემპიონატში „სპარტაკში“ მხოლოდ რვა მატჩი ჩავატარე, წლეულს გაცილებით მეტი ვითამაშე.

— „სპარტაკიდან“ რატომ წახვედი?

— მწვრთნელის შეცვლამ ყველაფერი ამირია. რომანცევი მენდობოდა და მათამაშებდა კიდევ, ჩერნიშოვი კი სხვა აზრის გამოდგა ჩემზე. გუნდშიც თავისი ხალხი მიიყვანა და მე თამაშგარეთ დავრჩი.

სათადარიგოთა სკამზე ჯდომას „ურალანში“ თამაში ვარჩიე და ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი.

— რომანცევთან კარგი ურთიერთობა მქონდა, თქვი და ახლა ეს კაცი „სატურნიში“ მუშაობს...

— არა მგონია, „სატურნი“ ჩემი წაყვანა მოინდომოს. ამაზე ლაპარაკიც არ ყოფილა.

— „სპარტაკში“ შენამდევ უთამაშოთ ქართველებს, მაგრამ ფეხი ერთმაც ვერ მოიკიდა...

— ალბათ, ეს უფრო შემთხვევითობაა.

— გუნდის კრიზისი რამ გამოიწვია?

— რა ვიცი, ჩავარდნა ყველა გუნდს აქვს. თან ამ სეზონში მწვრთნელების შეცვლამაც ცუდად იმოქმედა. რომანცევს მუშაობა არ აცალეს, ჩერნიშოვი კი „სპარტაკის“ დონის მწვრთნელი არ იყო.

— ახლა ტრანსფერზე ხარ. რამდენს ითხოვს „სპარტაკი“ შენს სანაცვლოდ?

— იმდენს, რამდენიც თავის დროზე ქუთაისის „ტორპედოს“ გადაუხადა ჩემში.

— თანხას ვერ დაასახელებ?

— არ ვიცი, ეს ჩემი საქმე არ არის.

— „ურალანზე“ ვთქვით. თითქოს გუნდს პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გასჭირვებოდა...

— ბოლოს „ურალანი“ უკვე განწირული იყო. ყველამ იცოდა, რომ ეს გუნდი უნდა გაეარდნილიყო. სხვა გზა არ ჩანდა.

— და ამ დროს მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგი“ სასწაულებრივად აღარჩა...

— ამაზე რუსეთში ანეკდოტებსაც ჰყვებიან. ყველამ იცის, როგორ დარჩა „ტორპედო-მეტალურგი“ პრემიერლიგაში. ეს გახეთქებაც დაიწერა და ტელევიზიებმაც ბევრი ილადავეს.

— კარიერის გაგრძელებას ისევ რუსეთში აპირებ?

— ასე მიჩვენია. შეჩვეული ვარ, გამოცდილებაც დამიგროვდა და წესით, არ გამოვირდება. ენაზე, ავენტები მუშაობენ ჩემს ტრანსფერზე. ისე, არც სხვა ნორმალური ქვეყნის ჩემპიონატზე ვიტყვი უარს.

— რუსეთში მუშაობის ვარიანტებს რევაზ ძოძუაშვილიც ელის, ვისთანაც შენ მშვენიერი ურთიერთობა გაქვს...

— ძოძუაშვილთან გავატარე ჩემი კარიერის უდიდესი ნაწილი და თუ მას რომელიმე კლუბში მიიწვევენ, ცხადია, წავყვები. მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვარ. ასე რომ, ეს ჩემი ერთ-ერთი ვარიანტაცაა.

— რუსული პრემიერლიგა რომ საქართველოს ჩემპიონატს აღემატება, სადავო არ არის. მაინც რამხელაა სხვაობა?

— ცა და დედაშიწა. რუსები ყველანაირად გვევლიან. შედარებაც არ შეიძლება.

— აღერ უყურადღებობის გამო საქართველოს ნაკრების მწვრთნელებზე ნაწყენი იყავი...

— ეს ჩვეულებრივი ამბავია. ყველა ფეხბურთელი ბრაზდება, როცა ნაკრებში არ იძახებენ. მით უმეტეს, კარგ ფორმაში ვიყავი და სტაბილურად ვითამაშობდი. მე ყოველთვის ვიბრძოლებ ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად. სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია.

— წილისყრის შედეგებზე რას იტყვი?

— კარგი ჯგუფია. ყველა გრანდი აგვცა. ამ გუნდებთან კი თამაში ნაღდად შეიძლება. ფაფორიტად თურქეთი მიმაჩნია, თუმცა დანია და უკრაინაც ძლიერები არიან.

— ამ დროს კი ნაკრები უმწვრთნელოდა. ახლა ყველა აქცენტს უცხოელ მწვრთნელზეა გადატანილი...

— უცხოელი რას გვიშველის? ქართველმა უფრო იცის ჩვენი მენტალიტეტი. გახსოვთ, იოჰან ბოკსამბს რამდენი პრობლემა შეექმნა საქართველოში? ეს თავიდან უნდა ავიცილოთ.

— ანუ ქართველი მწვრთნელის მოძებრა ხარ?

— ვერა. ჯობია, კარგი ქართველი მწვრთნელი ჩაუდგეს ნაკრებს სათავეში.

— კი მაგრამ, ქართველები აქამდეც გვეყავა და...

— მათ მუშაობა არ აცალეს, ამაშია ჩვენი შეცდომა. გუნდი ერთ დღეში არ შენდება. მწვრთნელს დრო უნდა მიეცეთ.

— და ერთიც, ახალი გუნდი როდის გეცოდინება?

— იანვარში ყველა გუნდი მოსამზადებელ ეტაპს იწყებს და ჩემი მომავალი მანამდე უნდა გაეარკვიო. ზუსტად არ ვიცი, ყოველდღე ველი ზარს რუსეთიდან.



გუშინ ავსტრიული გრაციდან დაბრუნდა „შტურმის“ ქართველი შემტევი ლეონი მუჯირი. „შტურმს“ საშინელი პირველი ნრე ჰქონდა — ცოტა ხნის წინ ავსტრიული ფეხბურთის ლიგის ნლეულს აუტსაიდერებში გაერია და პირველი ნრის შემდეგ ქულითა უსწრებს ბოლოადგილოსან „კერენტენს“. ვერ აენყო თავად მუჯირის საქმეც: პირველი ნრის 20 მატჩში „მუ-მუ“ მხოლოდ ოთხჯერ გამოჩნდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში, რაც მეტად უცნაური გახლდათ, რადგან ჩვენებური საღსამალათი იყო, თანაც „შტურმთან“ 2006 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი და მისი გასხვისება გრაციელებს საერთოდ არ უფიქრიათ.

რატომ იყო მუჯირი სათადარიგო?... „შტურმის“ ლეგიონერს გუშინ თბილისში დაბრუნებისთანავე შევეხმიანეთ

მუჯირა პეტროვი ივობა და გაუგებელი ღაბარბა

— სეზონის წინ „შტურმს“ ჩემპიონობის პრეტენდენტად თვლიდნენ. საქმე კი ისე აეწყო, ავსტრიულ ბუნდესლიგაში დარჩენაც კი სათუთა. რა არის ამის მიზეზი?

— ყველაფერი საკადრო პრობლემების შედეგია. არადა, სირცხვილია „შტურმის“ ამ დღეში ყოფნა, 20 მატჩში მხოლოდ 18 ქულა დავაგროვეთ.

— რამდენადაც ვიცი, სეზონის წინ მხოლოდ „შტურმს“ გადასული იმრე საბიჩი გამოგაკლდათ. ასე იმოქმედა მისმა წასვლამ?

— არა, საბიჩი არაფერ შუაშია. მეტიც, მის ნაცვლად რამდენიმე კარგი ფეხბურთელი დავიმატეთ, პრობლემა მწვრთნელთა გაუთავებელი ცვლა იყო. სამჯერ შეგვეცვალა მწვრთნელი და ყველამ ერთი და იგივე შეცდომა დაუშვა — მოკლე დროში მოინდომეს შედეგების მიღწევა. იყო გაუთავებელი ექსპერიმენტები სათამაშო სქემის, შემადგენლობის შერჩევისას და ამან „შტურმის“ თამაშზე დამლუპველად იმოქმედა. პირველ შვიდ ტურში მხოლოდ ერთი ქულა ავიღეთ.

— ამ დროს, ფაქტობრივად, სათადარიგოთა სკამზეც კი არ ჩანდი...

— თავიდან გუნდს ფილბერ გრესი წვრთნიდა. არ ვიცი, რატომ ამოთვალწუნა. სეზონისწინა შეკრებაზეც კი არ წამიყვანა. ამას ვინ ჩივის, 18 კაცშიც ვერ ვხვდებოდი. არადა, მწვრთნელი არაფერს მეუბნებოდა. რა უნდა მექნა, მოთმინებით ველოდი ჩემს რიგს. ბოლოს სლოვენიელი პეტროვიჩი დავერინწუნე მწვრთნელად. ამ კაცის დამსახურებაა, ოთხჯერ რომ ვითამაშე ძირითადში და რამდენჯერმე შეცვლავც შევედი მოედანზე. პეტროვიჩის დაუემტკიცე ჩემი შესაძლებლობები. განსაკუთრებით კარგად ბოლო ტურში ვენაში „რაპიდთან“ ვითამაშე. მწვრთნელმა შემეძო, მითხრა, გაზაფხულიდან შენი იმედი მექნებაო.

— ცული შედეგების გამო ფეხბურთელების მიმართ კლუბში დამოკიდებულება ხომ არ შეიცვალა?

— ჩვენ ყველაზე მეტად იმით დავისაჯეთ, რომ მაყურებელი დავკარგეთ, ადრე „შტურმის“ თამაშზე რამდენიმე დღით ადრე ყველა ბილეთი გაყიდული იყო, ახლა კი ქომავი მხოლოდ დერბის სანახავად — „გრაციერთან“ მატჩზე დადის.

— მეორე წრისთვის კლუბის მესვეურები გუნდის გაძლიერებას თუ გვემაკვენ?

— ვიცი, რომ მცველის, ნახევარმცველის და მეკარის დამატება სურთ. განსაკუთრებით მეკარე გეჭირდება, რადგან ბელგიის ნაკრების ყოფილი წევრი, 33 წლის ფილდე ბილდე კარიერის დასრულებას აპირებს.

— შევბუღებაში რამდენი ხნით ხარ?

— 6 იანვარს გრაცში ჩავალ. შობას შეკრება გვეწყება, იანვრის შუა რიცხვებში მინი ფეხბურთის ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას და მერე ანთალიაში გავემგზავრებით მოსამზადებლად.



ვალერი აბრამიძე არ იცის, სპარტაკელია თუ არა...

როი ფერდინანდს 23 სექტემბერს დოპინგ-ტესტი უნდა გაეკეთებინათ და არ გაიარა — აი, რა ითქვა იმ გახმაურებული საქმის გარჩევაზე, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების მცველის გამო შედგა. რატომ არ გაიარა? ამას მნიშვნელობა არა აქვს, ეს ყველაფერი უკვე მიზეზების და თავის მართლებების ცდაა, სინამდვილე კი ერთია: მას უთხრეს, რომ ანალიზი უნდა ჩაებარებინა, ის კი კლუბის სპორტული ცენტრიდან მანჩესტერის ცენტრში, საყიდლებზე წავიდა.

მორჩა და გათავდა, საქმე დახურულია, ფერდინანდი დამნაშავედაა ცნობილი. ამ დანაშაულისთვის მაქსიმალური სასჯელი ორწლიანი დისკვალიფიკაციაა

დამნაშავეა!

ფერდინანდს ბლაბარი დასჯის

კი მაგრამ, რას ელოდებიან ახლა? რატომ არ მიუსაჯეს ფეხბურთელს კონკრეტული სასჯელი? ამ ბუნებრივ კითხვაზე ის პასუხი არსებობს, რომ დამსჯელები ფიფას პრეზიდენტს, ზეპ ბლატერს ელოდებიან. მოგეხსენებათ, ინგლისელ მოხელეებს ფერდინანდის დასჯისკენ ერთი ხნის წინ სწორედ ბლატერმა მიუთითა, ასე რომ, კონკრეტულ გადაწყვეტილებასაც ალბათ, მისი კარნახით მიიღებენ, პრეზიდენტი კი ამბობს, რომ საქმის დეტალებში ვერ ვერ ერკვევა.

გავიხსენოთ: ფერდინანდს, მისივე სიტყვებით თუ ვინმემდებანელებს, დაავიწყდა ლაბორანტები რომ ელოდნენ, ქუდი დაიხურა და სადღაც საყიდლებზე წავიდა. შემდეგ, როგორც ირკვევა, მას გაახსენდა ანალიზის ამბავი და „იუნაიტედის“ ოფისში გადარეკა, ეგ ლაბორანტები დამელოდონ, მოვბრუნდებიო. ეს სამის ორ წუთზე მოხდა. ფერდინანდს მიუგეს, რომ უკვე გაიანია. ამის შემდეგ გაირკვა, რომ ლაბორანტები „მანჩესტერის“ ოფისიდან სამის ოცდამდე წუთზე წასულან და ატყდა ერთი ამბავი, ფერდინანდისთვის დაბრუნების ნება რომ დაერთოთ, მიასწრებდაო. ფეხბურთელის დაცვამაც ამოსავალ წერტილად ეს აიღო.

მართლაც, რატომ არ დაელოდნენ ფერდინანდს? ეჭვი არაა, 18


წუთში იგი კერინგტონში დაბრუნდებოდა, ხოლო ხალხს ვინც შეუთვალა აღარ მობრუნდებო, კარგად უნდა სცოდნოდა, რომ საქმე ადამიანის კარიერას ეხებოდა.

ბოლო ორი დღის განმავლობაში უამრავი არგუმენტი და კონტრარგუმენტი ითქვა. მაგალითად, გაირკვა, რომ ლაბორანტებს ფერდინანდისთვის თვითონ კი არ უთქვამთ, მივიდვართ, „იუნაიტედის“ ექიმები გაუფრთხილებათ, გადაეცით, რომ მივიდვართო. შესაბამისად, გასარკვევია „გაფუჭებული ტელეფონის“ ვარიანტიც, ხომ შეიძლება ფერდინანდის საქმე სულაც კლუბის ბრალი გამოდგეს? ანდა, როდესაც დაინახეს, რომ ფეხბურთელი ლაბორანტებთან მისვლას და სინჯის ჩაბარებას აგვიანებს, თავად „იუნაიტედის“ თანამშრომლებმა რა იღონეს მის მოსანახად?

გარდა ამისა, გაუგებარია, ფეხბურთის ასოციაციის წეს-კანონთა თანახმად, ვის რა მოვალეობა და პასუხისმგებლობა ავალია ტესტირები დროს? მაგალითად, ბრიტანული სპორტის კანონში წერია, რომ მოულოდნელი ტესტირების დროს საჭიროა ანალიზი ერთ საათში ჩატარდეს, მაგრამ ფეხბურთის ასოციაციას არ უწერია, რა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ამ დროში არ ჩატარდება.

ბაბუნა კილი

წითელი ისტორიის გაგრძელება



— მატჩის შემდგომ კრიტიკას როგორ აღიქვამთ?

— რომ ვითხრათ, პრესაში და ბევრდღი ყოველ კრიტიკულ წერილს გულდასმით ვკითხულობ-მეთქი, მართალი არ იქნება. საეუბრით მშვიდად ვარ, ვიცი, ის გაუკეთე, რაც უნდა გაეკეთებინა და ამიტომაც არაფერს ვნანობ.

პინო სამორანო: დელა პენიამ დარბი არია

პინო სამორანომ „ესპანიოლს“ — „ბარსელონას“ 13 დეკემბრის კატალონიური დერბი უმოწყალოდ აანიოკა და პრემერადივიზიონის ყველაზე მრისხანე მსაჯის სახელიც დაიგდო. „ესტადიო ოლიმპიკოს“ სტუმარ-მასპინძელი გუნდი მატჩის საფინალო სასტვენს სენიორ სამორანოს წითელ ბარათთა გამო ოდენ 8-მ ფეხბურთელით შეხვდა. თუმცა პინოს აზრით, ყოველი სასჯელი სამართლიანი იყო და ამიტომაც მას სინდისის ქენჯნა არ აწუხებს. გაძევებთა მოყვარულ არბიტრს ესპანური „მარკა“ ესაუბრა

— ანუ ექვსივე გაძევება სამართლიანი იყო?

— თამაშის ვიდეოჩანაწერი ვნახე და გონებაშიც მრავალჯერ აღვივადინე იმ მატჩის პერიპეტეხები. გვერდითი არბიტრებიც ჩემს აზრს იზიარებენ — უსამართლოდ არც ერთი მოთამაშე არ დასჯილა.

— შაბათის დერბი თქვენს კარიერაზე უარყოფით გავლენს ხომ არ მოახდენს?

— არა მგონია, რაიმე მძიმე შედეგი მოიტანოს. ფეხბურთის ფედერაციაშიც გაგებით მოვიდნენ ამ თამაშს, ყველამ მშვენივრად იცოდა, თანაქალაქელთა შეხვედრა შეხლა-შემოხლის გარეშე რომ არ ჩაივლიდა. ისე კი ვაღიარებ — კარიერაში ურთულესი მატჩი ვიმსაჯე.

— ორივე კლუბის მოთამაშეებმა სრული დაუმორჩილებლობა გამოიციხადეს...

— მართალია. იმიტომაც იხილა მაყურებელმა წ წითელი ბარათი. სხვანაირად მოქცევა უბრალოდ არ შეეძლო.

— მომავალ სპრიმერო თამაშებს ძველებურად მოეკიდებით თუ რაიმე შეიცვლება თქვენს პროფესიულ საქმიანობაში?

— ყველა მატჩი განსაკუთრებული და თავისებურია. ფეხბურთელთა ქცევასაც წინასწარ ვერასოდეს განსაზღვრავ, თუმცა იმედი მაქვს, „ესპანიოლს“ — „ბარსელონას“ მსგავს ანარქიას სხვა შეხვედრებში აღარ გადავწყვედებ. რაც შეეხება ჩემს მსაჯობას, აქ არავითარი ცვლილება არ არის საჭირო. მე პროფესიონალი ვარ და ვიცი, მოედანზე როგორ უნდა ვიმოქმედო.

— ესპანიოლელთა ივან დე ლა პენია მკაცრი არბიტრის წინააღმდეგ საჩივრის შეტანას აპირებს...

— რაც მოესურვება, ის გააკეთოს, უკიდურესად უხეში ფეხბურთელია. პირველი ტაიმის ბოლოს მუცელში მუშტი დამარტყა და მიკვირს, საერთოდ დამარტყა და მიკვირს სათქმელი. ის დერბიც ხომ სწორედ დე ლა პენიას გამოძევები საქციელის გამო აირია.

საუნაში ბეჭეტან, ვიკასთან და პრიკსონთან ერთად

იმ დღეს ლონდონის ოქსფორდ სტრიტზე გატასავებული მოქალაქეები ერთმა უცნაურმა ამბავმა დაშოკა. ერთ-ერთი მალაზის ვიტრინაში რაღაც საუნისმაგვარი მოენყოთ, შიგ კი ნახევრად-

დშილიფი დევიდ და ვიქტორია ბეჭემები, ასევე ინგლისის ნაკრების შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქვეყნის პრემიერი ტონი ბლერიც ჩამომსხდარიყვნენ.

შოკმა მხოლოდ მაშინ გაიარა, როცა ქუჩაში მოსიარულე ხალხი მიხვდა, მიღეთის დასანახად მოსაუნე ტიპები ცნობილი ადამიანების ოდენ ორეულები რომ იყვნენ.

ამგვარ მარკეტინგულ იღებებს დასავლეთში რაგინდარა პროდუქციის გასასაღებლად მიმართავენ და გასაკვირი ამამი არც არაფერია. უცნაური მხოლოდ ის იყო, რომ ხსენებულ განთქმულობასთან ორეულები ვიტრინაში იმ მალაზიის მესვეურთ ახლახან გამოცემული წიგნის გასაყიდად დაესვათ.

ეს წიგნი სკანდალური ფოტოგრაფის, ელისონ ჯექსონის ახალი ფოტოალბომია. ქალბატონ ჯექსონის ფოტოთა სკანდალურობას კი უწინარესად ის განაპირობებს, რომ ყოველად წარმოუდგენელ კადრებს ის სწორედ ცნობილ ადამიანთა ორეულების გამოყენებით იღებს.


ასე მაგალითად, მის მიერ 1999 წელს გამოცემული წიგნი პრინცესა დაიანასა და მისი საყვარლის, დოდი ალ-ფაიედის ორეულთა ფოტოების კრებული იყო.

კრებული ბევრ საინტერესო კადრს შეიცავდა — ცხადია, არცთუ მთლად უბიწო შინაარსისას!



ჯექსონის ახალ ალბომში კი ბექსის, ვიკას, ერიკსონისა და

ბლერის ორეულთა ექსკლუზიური ფოტოებია. დაინტერესებულთა მომხმარებელი იქ მათ ამსახველ მრავალ მართლაც შინაარსიან კადრს იხილავს.

ლემან კელაურამი



არადა, ფული უღებდაა აბრამოვიჩს ვან ნისტელროი 60 მილიონი უღირს, კელე — 100



„ჩელსი“ თქვა, თუ „მანჩესტერ იუნაიტედი“ წინააღმდეგი არ წავა, რუდ ვან ნისტელროიში 60 მილიონ გირვანქას გადავიხდით. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ „ჩელსის“ „არსენალისგან“ ტიერი ანრის შეძენაზე უნდოდა საუბრის დაწყება, მაგრამ უარი მიიღო.

„ვან ნისტელროი 60 მილიონი რომ ღირდეს და ჩვენ მისი ყიდვა კარგ ინვესტიციად მიგვაჩნდება, გადავიხდით“ — მიხლარო-მოხლართა „არისტოკრატთა“ აღმასრულებელმა შეფმა პოლ სმიტმა, რომელმაც დასძინა, უპირატესობას მა-

ინც ცენტრალურ მცველს ან ნახევარმცველს მივანიჭებდითო.

საქმე ის გახლავთ, რომ 27 წლის ჰოლანდიელი თავდამსხმელი ბოლო დროს „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეფებთან კონტრაქტის განახლებაზე ლაპარაკობს და მზად არის კარიერა მთლიანად ამ გუნდში გაატაროს. ვან ნისტელროის „იუნაიტედში“ 124 თამაშში 96 გოლი აქვს გატანილი.

თუ „ჩელსი“ ვან ნისტელროი მართლა იყიდა და თან მართლა 60 მილიონი გადაიხდა, დაეძვობა მსოფლიოს სატრანსფერო რეკორდი, რომელიც მადრიდის „რეალმა“ ზი-



ნედინ ზიდანის ყიდვის დროს დაამყარა. მაშინ „რეალმა“ „იუვენტუსს“ 46,5 მილიონი გირვანქა გადაუხდა.

აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელს დღეს „მანჩესტერში“ კვირაში 40 ათას გირვანქას უხდიან, რაც „ჩელსიში“ მნიშვნელოვნად მეტი გახდება.

და მაინც, სმიტმა განაცხადა, რომ კლუბის პრეზიდენტის, რომან აბრამოვიჩის ამოუწურავი ყულაბის

მოუხედავად „ჩელსი“ არაფერს დახარბდება.

„პელე რომ იყიდებოდეს, მასში 100 მილიონის გადახდა ეღირებოდა, მაგრამ „არაენში“ 30 მილიონს ნამდვილად ვერ გავიღებთ. ჩვენ ფულს ეუფრთხილდებით. ბიუჯეტი ამოწურული არ არის, მაგრამ თანხებს მხოლოდ რაციონალურად გავიღებთ. რომანი ბიზნესმენია, რომელმაც ფულის ყადრი კარგად იცის“.

ბაბუნა კელია

„დიდი ხანია, რაც ესპანეთში თამაშზე ვოცნებობ. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რომ თუ კარიერას ევროპულ გუნდში გავაგრძელებ, ეს აუცილებლად „ბარსა“ იქნება“ — გაანდო რობინიომ ოკეანისგადაღმდინ ჩამოსულ სტუმრებს თავისი გულისხმადება.

ვარსკვლავ-ბიჭუნას თავის დღევანდელ კლუბთან 2007 წლამდე უწევს თანამშრომლობა, თუმც მოვლენათა განვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „სანტოსს“ თავისი ბრილიანტის შენარჩუნება ფრიად გაუჭირდება.

„ბარსა“ თავისი შემტევი და ლამაზი სტილის გამო მომწონს. ვართობა ფეხბურთით და საყვარელი საქმიანობით ინჩასთათვის სიხარულის მინიჭება — ამაში მე და კატალონიური კლუბი ძალიან ვვართ ერთმანეთს“ — ენაშვობს „კამპ ნოუს“ კლუბზე შეყვარებული მორიგი R. სხვათა შორის, რობინიოს სამშობლოში მას ყველაზე მეტად ბარსელონელ რონალდინიოს აღარებენ — სისწრაფე და ბუ-

R5 რობინიო მოტას ბარსელონას თხოვს


რომარიო, რონალდო, რივალდო, რონალდინიო და ახლა უკვე რობინიო — ყველა ამ სახელგანთქმულ R-ს მშობლიური ბრაზილიისა და მსგავსი სახელების გარდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ აერთიანებს — ესპანური პრიმერადივიზიონის გრანდი, კატალონიური „ბარსელონა“.

მოგეხსენებათ, ზემოთ ჩამოთვლილი ხუთეულიდან ოთხი უკვე იყო (ანდა დღესაც არის) „ბარსას“ ფეხბურთელი, რობინიო კი... გუმინ „სანტოსის“ ჭაბუკი თავდამსხმელი კატალონიურმა „სპორტმა“ მოინახულა

რობინიო ფლობს საოცარი ტექნიკა — ყველა ამ კომპონენტში ეს ორი ბრაზილიელი ტყუპისცალივით ჰგვანან ერთმანეთს, პლუს ამას საშობა ერთგულება და თავისუფალი, ხალისიანი ცხოვრების წესი. მოკლედ, ესპანურ პრიმერას ძლიერი მეომარი ელაციცება. ამას თავდაც არ მალავს: „რომარიო, რონალდო და რივალდო „კამპ ნოუსკენ“ დანარჩენ თანამემამულეებს გზა გაუხსნეს. შეხედეთ რონალდინიოს, ესპანეთში მისი პირველი

სეზონი და როგორ წარმატებულად შეძლო, „ბარსას“ ლიდერად გადაქცეულიყო. იქაური პრიმერადივიზიონი მსოფლიოს ერთ-ერთი ურთულესი, მაგრამ ამავდროულად სანახაობრივად ყველაზე ლამაზი საკლუბო ჩემპიონატია“.

ფრანკ რაკარდის დღევანდელი შეგირდებიდან რობინიოს მხარდამხარ ოდენ ტიაგო მოტას უთამაშა. გასულ ივლისს მექსიკაში ბრაზილიის 23-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში „ოქროს თასის“



ლალო ხომერიკი

დიდი გაზრობა დაინჟო ბაიერნმა სამხრეთ ამერიკაში დახლი იქირავა

ბრაზილიური მედიის ცნობით, „სანტოსის“ ნახევარმცველი რენატო ახალი წლიდან მიუნხენის „ბაიერნში“ გადავა. გერმანიის ჩემპიონი ზამთარში გაძლიერებას აპირებს. ამის შესახებ კარლ-ჰაინც რუმენიგემ ბუნდესლიგის დასრულებისთანავე განაცხადა. ბრაზილიელები სათავისოდ „ჭრიან“, მაგრამ „ბაიერნის“ პრესმდივანმა მარკუს ჰერვიკმა რენატოს ამბავთან დაკავშირებით თქვა: „ჩვენ მხოლოდ იმ ფაქტებს ვადასტურებთ, რომლებიც ისტორიად იქცევა“.

ამასობაში „სანტოსის“ ვიცეპრეზიდენტმა ფრანსისკო ლოპესმა აღნიშნა, რომ 24 წლის ნა-

ხევარმცველთან კონტრაქტის პირობები შეთანხმებულია და მხოლოდ ხელმოწერა აკლია. რენატოს ოფიციალური კავშირი „სანტოსთან“ 31 დეკემბერს დასრულდება და იგი თავისუფალი აგენტი გახდება. გარდა ამისა, თავად ნახევარმცველმა დაიჟინა, რომ მომავალი წლიდან აუცილებლად ევროპულ კლუბში ითამაშებს.

გარიგების ფინანსურ მხარეზე ჯერჯერობით არ საუბრობენ. რენატო მაშინ გამოჩნდა მსოფლიო საფეხბურთო ორბიტაზე, როცა „სანტოსი“ 2002 წელს ბრაზილიის ჩემპიონი გახდა. ნახევარმცველს „სანტოსის“ შემადგე-

ნლობაში 157 მატჩი უთამაშა და 20 გოლი გაუტანია.

ფეხბურთელის აგენტის თქმით, მისი კლიენტის შეძენის სურვილი ოფიციალურად „ბაიერნმა“ და „მილანმა“ გამოთქვეს. ორივე კლუბის წარმომადგენლები ბრაზილიაში ჩავიდნენ და იქაურებს რენატოს ტრანსფერზე ესაუბრნენ. გარდა ამისა, მიუნხენის „ბაიერნს“ თვალში „ბოკა ხუნიორისი“ ფეხბურთელ კარლოს ტევესზეც დაუდგამს. ტევესი მარადონას შემდეგ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელადაა აღიარებული. არგენტინული კლუბის პრეზიდენტის, მაურისიო მაკრის თუ დაეუჯერებთ, გერმანელებმა ტევესის სანაცვლოდ 17 მილიონი ევრო შესთავაზეს, მაგრამ ისინი ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებენ.

ბაბუნა ხომერიკი

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე საქართველოს კლინიკა


- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
 - პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიურობა დასულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „აგენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი) წინასწარი ჩანერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“ თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15



აპოლონი მარტოვიძე



პირტი შაიბა შენაა დეტროიტში ახლებს გოლი შაანარას

17 დეკემბერი

დეტროიტი 3:2 სან ხოსე
1:0 0:1 1:1 1:0

1:0 ზეტერბერგი (19), 1:1 შტურმი (21), 2:2 ტორნტონი (44), 2:2 დაციუკი (60), 3:2 შენაანი (64)

დეტროიტელი ჰენრიკ ზეტერბერგი ლამის თენახევი უქმობდა ფეხის ტრაუმის გამო და გამოჩნდა თუ არა ყინულზე, უმაღლესი გამოჩინა თავი — თავად ზომ გაიტანა და გაიტანა, თან დანარჩენ ორ გოლშიც შეიტანა წვლილი პასებით. მწვრთნელმა დევი ლუისმაც განსაკუთრებულად შეაქო, თქვა ჰენრიკმა დღეს ერთგვარი სტანდარტი დააწესა ყველასათვის, ვინც ტრავმის შემდეგ ბრუნდება. ისე, უნდა ვაღიაროთ, რომ მეორე შაიბაში არც ისე დიდი როლი მიუძღვის, რადგან ყველაფერი ბრეტ ჰალმა და პაველ დაციუკმა გააკეთეს, ოღონდ შებრუნებით — მეგობრულად ჰალმა ჩინებული პასი გააკეთა, ხოლო პლეიმიერი რუსი „ოქროს ბრეტის“ დარი დარტყმით გამოიჩინა. „ამ ოხერმა თავის ჭკუაზე წამოყვანა და

პასების გაკეთება შემაყვარა“ — ბურტყუნებდა ნამატრევეს კმაყოფილი ჰალი. ცხადია, ეს კომპლიმენტი დაციუკს ეკუთვნოდა. ნუ დავივიწყებთ, რომ 12 მატჩია, პალის ყინული უქელოდ არ დაუტოვებია და აი, შედეგით იგი 40 ქულით გაუტოლდა წინა დღეს დაწინაურებულ ვაშინგტონელ რობერტ ლანგს, ხოლო 14 გოლით ჩემპიონატის პირველ მეგობრულს, კოლუმბუსელ რიკ ნეშს დაწვია.

კოლორადო 2:3 მინესოტა
0:2 2:1 0:0

0:1 დიუბუი (5), 0:2 კუბა (14), 1:2 საიკი (28), 1:3 ფოლტოკი (34), 2:3 საიკი (37)

დალასი 3:1 ვანკუვერი
1:0 0:1 2:0

1:0 არნოტი (5), 1:1 ნესლენდი (28), 2:1 გერანი (50), 3:1 დიმიო (54)

მადლობა უფალს, კომპარი დასრულდა, „დალასმა“ ნავსი გატეხა და ბოლო 8 მატჩში პირველად გაიტანა ერთ გოლზე მეტი. არადა, 50-ე წუთამდე ანტირეკორდის აჩრდილი დაჰყვებოდათ ტეხასელებს.



„დეტროიტი“ — „სან ხოსე“: გადამწყვეტი გოლი ბრენდან შენაანმა გაიტანა

სანამ ტარგონის მოხერხებული პასის შემდეგ ბილ გერინი იხიერებდა, ისინი ანიავებდნენ და ანიავებდნენ საგოლე მომენტებს.

ფლორიდა 2:2 ვაშინგტონი
1:0 0:1 1:1 0:0

1:0 ბურე (1), 1:1 ბატალია (40), 2:2 ბონდრა (45), 2:2 უაისი (49)

მთები და ადამიანები უნივერსიტეტებმა შეგვასხანეს

ოდესღაც მთელ მსოფლიოში, ყოველ შემთხვევაში, იმ ქვეყნებში, სადაც მთამსვლელობას მისდევნენ, დიდად პოპულარული იყო საქართველოს ალპური კლუბის საქართველოს ფოტოკონკურსი „მთები და ადამიანები“. მერე, ქვეყანა რომ აგვეწეწა, ეს კონკურსიც ყველამ მიივიწყა. ბოლო წლებში „მთები და ადამიანები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპური კლუბის მესვეურებმა, გაიხსენეს და გამოფენებიც მოაწვეს. გუშინ ერთი ასეთი გამოფენა, რომელიც ქართული ალპინიზმის 80 წლისთავს ეძღვნება, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზშიც გაიხსნა.

გამოფენაზე ექსპონირებულია როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელთა, მათ შორის ქეთევან ახვლედიანის, თათია ათაბეგის, ბაბუ ალუღაურის, გიორგი მახარაძისა და შოთა მირიანაშვილის, სტუდენტთა — თამუნა ბიწაძის, ნათია გიორგიძის, მარინე მელექ-

სიშვილის, ნათია მუჟაანაძის, ნინო ოქიტაშვილის, დავით გაჩეჩილაძის, რომან ლომიძის, ლევან შერვაშიძის, მერაბ ხუტაშვილის 250-მდე ნამუშევარი.


როგორც გამოფენის ერთ-ერთმა მონაწილემ, უნივერსიტეტის ალპური კლუბის ხელმძღვანელმა და იმავდროულად საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტმა, დოცენტმა შოთა მირიანაშვილმა გვითხრა, ამ მშენიერი ფოტოების ავტორები კარგი სტუდენტები, პერსპექტიული მთამსვლელები და ფოტოგრაფიებიც საკმაოდ დახელოვნებულნი არიან. ამაში ჩვენც თვალნათლივ დავრწმუნდით, მკითხველს კი ვურჩევთ საკუთარი თვალით იხილონ ეს გამოფენა, სადაც წარმოდგენილია მშობლიური კავკასიონის მწვერვალები, მათთან შეჭიდებული მთამსვლელები, მთიელთა ყოფა-ცხოვრება თუ მთების ფლორა და ფაუნა.

აპთანდილ ხაჭიზაძე

„პოკეის მატჩების დროს ატეხილი ჩხუბები უკვე დიდი ხანია, გასცდა ამ ყინულოვანი თამაშის ჩარჩოებს და დროა, სპორტის ცალკე სახეობად ჩამოყალიბდეს“ — ასე ფიქრობს კანადელი საქმოსანი დერილ ვოლსკი, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები წმლის პოლიციელთა შორის სპორტული მუშტი-კრივის ორგანიზებას აპირებს...

ეს ტურნირი ვინიპეგში გაიმართება და მისივე ვარაუდით, 50-დან 100-მდე პოკეის მოჩხუბარი მიიღებს მონაწილეობას. ჩხუბი 1-2 წუთს გასტანს და გამარჯვებულს მსაჯები გამოავლენენ. ჩემპიონი კი 50 000 დოლარს მიიღებს. ვოლსკის იდეამ უკვე დაიმსახურა რამდენიმე სატელევიზიო არხის მოწონება. „შესაძლოა, მსოფლიოში საუკეთესო მოჩხუბარი იყო, მაგრამ პოკეის ჩხუბში გვარიანად გაიღახო, ვინაიდან ცივურებზე დგომა სულ სხვა რამაა“ — ამბობს ვოლსკი და თვალსასერიო სანახაობას გვპირდება.

ყინულის მოჩხუბრები გვერდზე გაიშვანეს



ასეთ დამრტყმელ ბიჭებს ერთმანეთს მალე სატელევიზიო ტურნირში დააწყებენ

ავსტრალია პირველი ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 18 დეკემბერი

A ჯგუფი
პო რიბაუნი 106:110 რიმა
ძირითადი დრო 91:91
პარსალონა 82:57 ულმარი
აამ 95:92 პარტიზანი
B ჯგუფი
ცსკა 90:81 შალაბიძისი
სიანა 85:89 მაკაბი
პრაპ 64:74 პანათინაიკოსი
C ჯგუფი
ოლიმპიკოსი 96:95 ალბა
ძირითადი დრო 87:87

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80




არვიდასი ისევე საბონისობს, ცსკა-ს 19 ქულა ჩაუგლო

სიასლე
საქართველოში!
35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, ნარნარები, აირჩიეთ და დაინახათ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური ნარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში
სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

ღირსების ტრფენი

ამ კვირაში საკონტინენტთაშორისო თასის მომგებ „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელ კარლოს ბიანჯის სამხრეთამერიკული საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტმა ნიკოლას ლეოსმა იმ დღეს სასპორტო ღირსების თრფენი გადასცა. შეგახსენებთ, რომ ბიანჯი პირველი მწვრთნელია, აღნიშნული თასის უკვე მესამედ მოხვეჭა რომ შეძლო.



REUTERS ანუნიზინიან

წლის ფოტო

ამ ფოტოს გადამღებს, მარსიო როდრიგესს ბრაზილიის წლის ფოტოს პრიზი ხვდა წილად. მასზე ხედავთ, თუ როგორ ვაგლახად გატყორცნილა როდრიგესის კოლეგა, რაფაელ ლიმა ტეიშეირა მას შემდეგ, რაც რომ 7 სექტემბერს, სტოკჰოლმის მორიგი რბოლისას, მას ერთ-ერთი ვზასაცდენილი სტოკჰოლმი დაეჯახა. საუბედუროდ, საწყალი ბიჭი იმ დღესვე გარდაიცვალა.



REUTERS მაიმიან

მაიაპური ჯილდოები

მაიაში იმ დღეს პრემიის ფოქის დაჯილდოებათა ცერემონიალი შედგა. სხვა, ვინგინდავინ სპორტსმენს შორის, თავიანთი წილი ჯილდოები ერვით განთქმულ კოლუმბიელ ფეხბურთელ კარლოს ვალდერამასა და პარაგვაელთა ლეგენდარულ მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტს. პირველს გამორჩეული კარიერა დაუფასდა, მეორე კი წლის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს. რაც შეეხება ამ უმოწყალოდ სექსუალურ ქალს, იგი მომღერალი და მსახიობი როზლინ სანჩესი გახლავთ. მისმა ჯივრის ამღვრევმა ხმამ საღამოს მეტი დამაჯერებლობა და ხიბლი შესძინა.



REUTERS მაიმიან

სარბიელი

საორტული გაზეითი

გამოცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის საზაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკეპს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შონიძეა დირექტორი გიორგი ოქროშაძელია რედაქტორი თამაზ მივრიანი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორიძეა ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი ქართული ფეხბურთის რედაქტორი დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე უცხოური ფეხბურთის რედაქტორი გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სვიმონ გულისაშვილი, ვიორჯი დარჯანია, ვიორჯი ვაშაქიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი ინფორმაციის რედაქტორი: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაუაძე, ოთარ მდლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაიო სვანიძე ფოტორეპორტიორები: გურამ დოღონაშვილი, ბადრი კვიციანი სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ზათუნა ბუნუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაგელიძე, სვეტა დევაძე ფატი დვალისაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრა ყაზაბაგის გამზირი 42, 11 კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29 ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge